ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 32060101/01/203
CPV:92100000 - კინო- და ვიდეომომსახურებები

23 დეკემბერი ,2016 წელი

ქ. თბილისი

## 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს"პარტნერ" მისი დირექტორის ლაშა ოსტატიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის "მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] ქვეპუნქტის , განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 22 დეკემბრის N1521445 წერილის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

**2.1.** ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ორგანიზაციული კოდი: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო-32060101) 2016 წლის 27 დეკემბერს დაგეგმილი ღონისძიებისათვის ვიდეო რგოლის გადაღების სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულების ობიექტია ვიდეო რგოლი, რომელიც მოიცავს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხედვას და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაციას გაცნობას.

**ვიდეორგოლის მახასიათებლებია:**

Full HD ფორმატი

კლიპის ხანგრძლივობა - 35 წამიდან 2 წუთამდე

რეალური პერსონაჟების მონაწილეობით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით

ფერის კორექტირება ფერთა დაშლის პროგრამაში „ Davinchi", Times leps

ვიდეორგოლის შინაარსი:

ვიდეო რგოლი უნდა ასახავდეს სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანების (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მშობლები (დედ-მამა), მეცნიერი, ახალგაზრდა და ხანდაზმული მასწავლებელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი, პროფესორი, შუა ხნის მოქალაქე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები) სურვილს, მიიღოს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლება და შესაბამისი სასწავლო გარემო.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

## *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ.თბილისი , ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან **2016** წლის **26 დეკემბრის** ჩათვლით.

4.3 საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

## 5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **სააგენტოს თანამშრომელი ნათია ჯავახი.**

## 6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.

6.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის (მომსახურებით) ღირებულების შესაბამისად 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

## 7.მხარეთა უფლებები

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

7.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

**7.2.2** აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

## 8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

8.1.1 დადგენილ ვადაში 5.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი (მომსახურება).

8.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## 9.ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

## 14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.
15.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
15.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
15.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
15.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

## 16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

## 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) საქონლის (მომსახურების) მიწოდებით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**„შემსყიდველი"**

სსიპ „საგანმანათლებლო და
სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო"

მისამართი: ქ.თბილისი მ. ალექსიძის
ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, მე-2
სართული ს/კ 202294980;
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა200122900
კოდი: 220101222

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
გიორგი შალუტაშვილი

**„მიმწოდებელი"**

აშპს"პარტნერ
მის: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. N16
ს/კ405086801

ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ნ №GE10BG0000000824666500

დირექტორი
ლაშა ოსტატიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 8 16 01521445

22/12/2016

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,
გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 27 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა მართავს მიღებას, რომლის ფარგლებშიც მოწვეულ სტუმრებს წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხედვას და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაციას გააცნობს.
პრეზენტაციაზე სხვა სიახლეებთან ერთად წარმოდგენილი იქნება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ახლებური სტრუქტურა და სამომავლო საქმიანობის ხედვა.
სიახლეებზე და რეფორმებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საჭიროა შესაბამისი ვიდეო რგოლის გადაღება.
აღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ ვიდეო გადაღების მომსახურების შესყიდვა შემდეგი მახასიათებლების შესაბამისად.

**ვიდეორგოლის მახასიათებლები**
Full HD ფორმატი
კლიპის ხანგრძლივობა - 35 წამიდან 2 წუთამდე
რეალური პერსონაჟების მონაწილეობით და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით
ფერის კორექტირება ფერთა დაშლის პროგრამაში „ Davinchi", Times leps

**ვიდეორგოლის შინაარსი:**
ვიდეო რგოლი უნდა ასახავდეს სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანების (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მშობლები (დედ-მამა), მეცნიერი, ახალგაზრდა და ხანდაზმული მასწავლებელი, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი, პროფესორი, შუა ხნის მოქალაქე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები) სურვილს, მიიღოს ხელმისაწვდომი, ხარისხიანი განათლება და შესაბამისი სასწავლო გარემო.

ამასთან გაცნობებთ, რომ დამზადებული მასალების მიწოდება უნდა განხორციელდეს ელექტრონული მატარებლების (დისკები) საშუალებით, არაუგვიანეს ა/წ 26 დეკემბრისა.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის
დეპარტამენტის უფროსი
ასათიანი ნატო

ინვოისი № 1

შპს პარტნერ
თბილისი, დოლიძის 16-8
კოდი: 405086801
ტელ: 599 871177

# ინვოისი

მომხმარებელი

თარიღი 22/12/2016
ხელშეკრ. №

| რაოდ. | მომსახურების დასახელება | ფასი | |
|---|---|---|---|
| 1 | ვიდეო რგოლის დამზადება, მონტაჟი | 4900 | |
| | | ჯამი | 4900 |
| | | დღგ | 0.00 |
| | | სულ | 4900 |

ოთხი ათას ცხრაასი ლარი

გადახდის პირობები

უნაღდო

ბანკი სს საქართველოს ბანკი
კოდი BAGAGE22
GE10BG0000000824666500

საიდენთიფ. კოდი: 405086801

*დირექტორი:*